



ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

25 დეკემბერი 2025



N 30

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №238 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის ხელშეწყობისა და აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

დავით გამყრელიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ზურაბ თოლორდავა - ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

სოფიო ნემსაძე - მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვაჟა მიქაბაძე - სახელმწიფო სესხების და სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნათია ხორგუაშვილი - ანგარიშსწორების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ერეკლე ღვალაძე - ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - ფულადი სახსრების მართვის სამმართველოს ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლელა პატარია - ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

გიორგი მჭედლიშვილი - ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - ანგარიშგებისა და ფინანსური ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლელა ყურაშვილი - ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის აღრიცხვის მეთოდოლოგიის სამმართველოს ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვით:

დავით მჭედლიძეს - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსს;

ოთარ გაგუას - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს ხელმძღვანელს;

გაიოზ თალაკვაძეს - თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსს;

დავით ხოსრუაშვილს - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს;

ლავრენტი ჭუმბურიძეს - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს;

ლევან საბაურს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელს.

მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის ფუნქციები:

- ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის პროცესის გამარტივებისა და ხელშეწყობის, ასევე, საჯარო სექტორის ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება;
- ბ) საჯარო სექტორში აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ შესაბამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;
- გ) პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გადახედვა და შესაბამისი წინადადებების შემუშავება ცვლილებების შესატანად;
- დ) რეფორმის ეფექტური განხორციელებისთვის ხელის შეწყობის მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავება;
- ე) მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგების გათვალისწინებით ხაზინის მიერ მომზადებული წინადადებების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ვ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახაზინო მომსახურების პრინციპების და აღრიცხვა- ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება საჯარო სექტორის ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ზ) საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების პრობლემატური საკითხების შესახებ ხაზინის მიერ მომზადებული წინადადებების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- თ) საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ წინადადებების შემუშავება;
- ი) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა;
- კ) სხვა ფუნქციების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და საერთაშორისო სტანდარტებთან აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობას.

მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები ფორმდება ოქმით, რომელსაც თან დაერთვება სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტები. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების მიზნებისათვის განთავსებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე.

მუხლი 5. სხდომის ოქმში მიეთითება:

- ა) ოქმის სათაური;
- ბ) სხდომის ჩატარების თარიღი და ნომერი;
- გ) სხდომის დრო და ადგილი;
- დ) ჩატარების ფორმატი (ზეპირი მოსმენა თუ დისტანციურად);
- ე) სხდომის თავმჯდომარე, სამდივნოს წარმომადგენლები, ასევე, სხდომაში მონაწილე სამუშაო ჯგუფის წევრები;
- ვ) სხდომაზე მოწვეული პირები და სხვა დაინტერესებული მხარეები;
- ზ) განხილული საკითხები;
- თ) განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი მასალების ჩამონათვალი;
- ი) განხილულ საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ დაფიქსირებული პოზიციები;
- კ) მიღებული გადაწყვეტილებები და განსხვავებული მოსაზრებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფი, მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით, იკრიბება საჭიროებისამებრ.

მუხლი 7. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს სამუშაო ჯგუფის სხდომებს, უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის გამართულ ფუნქციონირებას კომპეტენციის ფარგლებში და ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს სამუშაო ჯგუფის რომელიმე წევრი.

მუხლი 8. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები/რეკომენდაციები, თუ სხდომას ესწრება სამუშაო ჯგუფის წევრთა ნახევარზე მეტი. ამასთან, სამუშაო ჯგუფის სხდომაზე წინადადებების/რეკომენდაციების შემუშავება ხორციელდება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

დაუშვებელია ხმის მიცემისაგან თავის შეკავება. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ხმა.

მუხლი 9. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები გათვალისწინებული იქნება აღრიცხვის და ანგარიშგების არსებულ მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელებისას.

მუხლი 10. სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის აღრიცხვის მეთოდოლოგიის სამმართველო, რომელიც ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მომზადებას, გამართვას და საოქმო გადანყვეტილებების გაფორმებას.

მუხლი 11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გამყრელიძე

სახაზინო სამსახურის უფროსი

